ეროვნული ბიბლიოთეკა

1982

# ნაკადული



საყმაწვილო ჟურნალი
მცირეწლოვანთათვის

იანვარი № 2. 1916 წ.

# ნაკადული

წელიწადი მე-XII. № 2. იანვარი, 1916 წ.



ბიძია შიო

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი:

I— ბიძია შიო,—სურათი . . . . . . . . . . . . . . . . 1

II—წელს არ ჰქონია შობის ხე, —ლექსი შიო მღვიმელისა . . . . 3

III—ბიძია შიო,—ივ. გომართელისა . . . . . . . . . . . . . 5

IV—წერილები შიოსთან,—კილასონიას ქალის და კოტე დავითაშვილისა 9

V—საახალწლო მილოცვა,—ლექსი გ. თექმისხეველისა . . . . . 11

VI—როგორ გაიწმინდა მიხაკომ ფეხსაცმელი,—მარიამ გარიყულისა . 12

VII—ეშმაკი ყვანჩალები,—მოთხ. რობერტსისა—თარგმ. ნ. ა—სა. . 15

VIII—გასართობი: რებუსი და ახსნა . . . . . . . . . . . 24

ტფილისი, ელექტრონით მბეჭდავი წიგ. გამ. ქართ. ამხ—სა, ვანქის დიდი ქ. № 12

ეროვნული ბიბლიოთეკა





## წელს არ ჰქონია ნაძვის ხე

წელს არ ჰქონია ნაძვის ხე
პატარა ცისარტყელასა,
თუ გულს აკლია ამითი,
როდი უტყდება ყელასა.

ტფილისის

ხანდისხან ჩუმად შესჩივის
ის ყარყარაანთ ლელასა:
—მართლა სულ მოუპარნია
ნაძვის ხეები მელასა?!

—მეც მაგრე მითხრა დედამა,
შენ გენაცვალე, დილითა:
თურმე მთლად გაუზიდნია
იმ შეჩვენებულს კბილითა!

მაგრამ რა, ამით თამაში
არ უნდა დავიყაროთ:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუთაქა დავსვათ ნაძვის ხედ
და ხტუნვით შემოუაროთ.
ლხინში ჩავაბათ ციცუნა
და ჩვენი კუდა ბროლია,
გარედან შემოვიყვანოთ
ლეკვი ბაბრი და თოლია.

ისე მივიღოთ ისინი,
ვითომც ტოლები გვყოლია...
აბა შევუდგეთ საქმესა,
რა დარდი შემოგვწოლია!..

მივარდნენ წალოს,—ლოგინი
გადმოფუტკნ-გადმოაქციეს,
ბალიშები და მუთაქა
ნაძვის ხეებად აქციეს;

დაჰკივლეს, დაჰროწიალდნენ
თავიანთებურ ქინითა,
სახლი და ეზო აავსეს
კუჭ-კუჭითა და ლხინითა.

**შიო მღვიმელი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



## ბიძია შიოს ყვავილებს

ჩემო პატარა მკითხველებო! წარმოიდგინეთ მშვენიერი წალკოტი, სადაც სხვა-და-სხვა ფერისა, სხვა-და-სხვა ნაზის ყვავილები ხარობენ, თვისი სილამაზით არემარეს ამშვენებენ, მაყურებელთა გულს ატკბობენ, ახარებენ.

ამ წალკოტს ჰყავს საკუთარი მებაღე. მთელ მსოფლიოში მას ყველაზე მეტად ყვავილები უყვარს, ყვავილებს გარდა არავინ ახსოვს, არაფერი აგონდება,—მშიერი გასძღებს, ოღონდ მისი საყვარელი ყვავილები კარგად ჰყავდეს.

დღე-და-ღამე ყვავილებს დასტრიალებს და თავს ევლება, უვლის და ეალერსება. იცით მერე, ვინ არის ეს მებაღე? როგორ არ იცით: ეს ხომ თქვენი ბიძია შიოა, შიო მღვიმელი!

აბა მოიგონეთ მისი ლექსები: ხომ იმან გიწოდათ თქვენ ყვავილები! დიახ, მშვენიერი წალკოტი— ჩვენი ტურფა სამ-

შობლოა, ჩვენი საქართველო; ყვავილები კიდევ თქვენ ხართ,— ყველა ქართველი ბავშვები. ბედნიერები ხართ და ბედნიერი იყავით მუდამ, რომ გაახაროთ თქვენი მშობლები და გამოადგეთ ჩვენ ხალხს; ხოლო დღეს თამამად შეგიძლიათ თქვენი ბედნიერებით დასტკბეთ და იამაყოთ კიდეც: თქვენა გყავთ საკუთარი დიდი პოეტი—ბიძია შიო, რომელიც მთელი ოცდაათი წელიწადი ბავშვებს ემსახურება, მხოლოდ ბავშვებზე ფიქრობს, თქვენთვის ზრუნავს, თქვენი მხიარულებით მხიარულობს, თქვენთვის სცხოვრობს და მთელ ქვეყნიერებას თქვენ ურჩევნიხართ, მზე და მთვარე თქვენზე ამოუდის.

მია შიო საკუთრად თქვენია, ამაში ვერავინ შეგეცილებათ, და მასაც, თქვენს გარდა, სხვა არავინ უნდა. ის თქვენი მფარველი ანგელოზია: როცა თქვენ გძინავთ, ის ტკბილ ნანას გიმღერისთ; როცა თქვენ მოწყენილი ხართ, ის თქვენ გართობთ, გამხიარულებთ; როცა სტირით, ის გულში გიხუტებთ და ცრემლებს გიშრობთ თვისი ალერსითა და სიყვარულით. როცა თქვენ თამაშობთ და მხიარულობთ, მას ავიწყდება, რომ ის დიდი შიო არის, ბავშვად გადიქცევა ხოლმე და თქვენთან ერთად დახტის, თამაშობს და მხიარულობს; როცა თქვენ სწავლობთ, ის თქვენ გვერდით არის და შრომის, სწავლის წყურვილს გიღვიძებთ.


შიო მღვიმელი ახალგაზრდობის დროს

ოჰ, რომ იცოდეთ, როგორ ეჯავრება მას ზარმაცი, უსაქმო ბავში! მაგრამ არა,—აბა რას ვამბობ: შიოს არავინ არ ეჯავრება, ბიძია შიოს ყველა უყვარს, ყველა,—მაგრამ როცა თქვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარმაცობთ, შრომასა და სწავლას გაურბიხართ, შიო მაშინ გულდამწვარია და სტირის.

ის განუყრელად თქვენთან არის, თქვენი ერთგული მეგობარია.

ამ ოცდა ათი წლის განმავლობაში ბიძია შიოს ბევრი რამ გამოუცდია, ბევრი გაჭირვება უნახავს, მაგრამ თქვენ მას მუდამ ახსოვდით და ახსოვხართ, თქვენ მას ყოველგვარ გაჭირვებას და უსიამოვნებას ავიწყებინებთ.

რით არის ასე ძვირფასი შიო თქვენთვის და საერთოდ ყველა ქართველებისათვის?

იმით, რომ თავისი ნიჭი სავსებით თქვენ აღზრდას, თქვენი გონების განათლებას და თქვენი სულის ამაღლებას შესწირა.

ადამიანი, რომელიც სხვებისათვის ზრუნავს, ქების ღირსია. ადამიანი, რომელიც რაიმე ნიჭით არის დაჯილდოებული და ამ ნიჭს სხვებს შესწირავს, სათაყვანებელია.

აი, სწორედ ასეთი ადამიანია ბიძია შიო და ამიტომ არის ის თქვენთვისა და ჩვენთვის, ყველასთვის ძვირფასი.

იცით, რა უნდა, რა ჰსურს ძია შიოს? ძია შიოს უყვარს თავისი სამშობლო, და უნდა, რომ თქვენც შეიყვაროთ.

ძია შიოს უყვარს თავისი სამშობლო ენა, და უნდა, რომ თქვენც შეიყვაროთ. აბა ყური დაუგდეთ, რას გეუბნებათ იგი ერთ თავის ლექსში:

„ნურც შენ გასცვლი ნურასფერში სამშობლოს და დედაენასაო“.

ძია შიოს უყვარს ღარიბები და ობლები და უნდა, რომ თქვენც გიყვარდეთ.

ძია შიოს ფრინველები და ცხოველებიც-კი ებრალება, და უნდა, რომ თქვენც გებრალებოდეთ და არ აწვალებდეთ მათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძია შიოს უყვარს თვისი ერი და უნდა, რომ თქვენც შეიყვაროთ.

რით უნდა გადუხადოთ მადლობა საყვარელ ბიძიას?

ეცადეთ, რომ მისი სურვილი პირნათლად აასრულოთ, სამშობლოსა და თქვენი ხალხისათვის გამოსადეგი და სასარგებლო ადამიანები გახდეთ.

ივ. გომართელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# წერილები მია შიოსთან

მჴირფასო ბიძია შიო!

მე თქვენთვის უცნობი პატარა ქალი ვარ, თქვენ-კი ყველასთვის ცნობილი, პატარების სული და გული ხართ. გიძღვნით სალამს, გისურვებთ ჩვეულებრივ ხანგრძლივ მუშაობას ჩვენისთანა პატარების სასიხარულოდ, ყმაწვილების მესაიდუმლევ.

მია შიო, მე თქვენი რამდენიმე ლექსი გავიზეპირე შარშან და ახლაც სიხარულით ვსწავლობ.

ახლა, მია შიო, ამ პატარა წერილით მინდა გთხოვოთ ჩემთვისა და ჩემის ტოლებისათვის დიდი, სულ დიდი საქმე შემისრულოთ.

მე მინდოდა, მია შიო, თქვენი სურათი, ღია ბარათზე გადაღებული, გამევრცელებინა პატარა ამხანაგებს შორის დაბასოფლად, მაგრამ ნათლია ჩემმა ვერსად ვერ მიშოვა, არც წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში იშოვება.

ამიტომ გთხოვთ თქვენ ფოტოგრაფიულ სურათს ღია ბარათზე გადასაღებად და გასავრცელებლად. ამის მოგვარებას ნათლია დამპირდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თქვენი სურათების გაყიდვის შემდეგ დარჩენილი მოგება, რაც იქნება, მინდა ბრძოლის ველზე მყოფ სათადარიგო ჯარის კაცთა ბავშვების სასარგებლოდ გადავსცე.

სიხარულით მოველი, ბიძია შიო, თქვენგან ჩემთვის ძვირფას პასუხს.

კიდევ გიძღვნით სალამს, ბიძია შიო.

თქვენი თაყვანის მცემელი სათადარიგო ჯარის კაცის **სიმონ კილასონიას პატარა ქალი ჟენია.**

---

ძვირფასო და დაუვიწყარო ბიძია შიო!

უზომო ბედნიერად ვთვლიდი ჩემ თავს, როცა პირველად გაგიცანით და გავიგე, რომ იმ ტკბილ ლექსების დამწერი, რომელთაც მე საჩვენო ჟურნალებში ვკითხულობდი და ვსტკბებოდი, თქვენ ყოფილხართ. დიდად გმადლობთ მოწოდებულ ლექსებისათვის. გულით მინდოდა მონაწილეობა მიმეღო იმ ბავშვთა დღესასწაულში, რომელიც აღნიშნავდა თქვენ 30 წლის ამაგს, მაგრამ ბედმა მიღალატა. ავადმყოფობამ შორს გადმომისროლა ზღვის ნაპირებზე,—ყირიმში და აქედან მხოლოდ ვოცნებობ იმ სიტკოებაზე, რომელსაც ასე მოველოდი თბილისში ყოფნის დროს. ვწუხვარ, რომ მანდ არ ვიქნები თქვენი დღესასწაულის დროს, მაგრამ იმედია მიიღებთ ჩემგან გულწრფელ მოლოცვას და მადლობას იმ სიამოვნებისთვის, რომელსაც გვანიჭებდით თქვენი ლექსებით და აგრეთვე ნება მომეცით შორიდან პირზე გაკოცოთ, ჩვენო მოამაგე ბიძია შიო. იყავით ბედნიერი და დღეგრძელი ჩვენდა სასიხარულოდ.

თქვენი ლექსებით დამტკბარი და შორს გადახვეწილი თბილისის მეორე გიმნაზიის მოწაფე **კოტე დავითაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საახალწლო მილოცვა

წკრიალა ცა საამურად
ვარსკვლავებით მოჭედილა,
განთიადში იბადება
სანეტარო ნაზი დილა.

სოფლად სონჩებს ამზადებენ,
ჩაუყვიათ ხელი ხილში;
ბავშვებს თაფლი, გოზინაყი
ესიზმრებათ ტკბილად მილში.

უცებ მეკვლემ დაიძახა,
მიმოჰფინა სიხარული,
მასპინძელსა მიულოცა
მშვიდობა და სიყვარული.

უმაწვილებსა გაეღვიძათ
და ჰკოცნიან ერთმანეთსა;
დიდ-პატარას უხარიათ,
ადიდებენ მაღალ ღმერთსა.

შვება, ლხენა, სიტკბოება—
სიცოცხლეა სანატრელი.
ღმერთმა ყველას მოგივლინოთ
ბედნიერი ახალწელი!

გ. თემისხეველი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# როგორ გაიწმინდა მიხაკომ ფეხსაცმელი



გენაცვალოს დედა, მიშიკო, წადი დეიდასთან, წაცუნცულდი და ამ ლიტრით სასმელი წყალი მოარბენინე,—უთხრა დედამ პატარა მიხას; სასადილოდ სუფრა გაშალა, და სანამ უფროსი გოგოები სკოლიდან მოვიდოდნენ, კიდევ რადაცებზე ფუსფუსებდა კუთხეში.

მიხაკო მკვირცხლად წამოხტა, დაავლო ხელი ლიტრას, გაცუნცულდა ქუჩაზე, მიუხვ-მოუხვია და დეიდასთან გაჩნდა.

— დეიდა, ამ ლიტრით წყალი გამომიგზავნეო, ჩვენი ახალ დაშაბულია და ჯერ არ დაწმენდილაო — დედაამ... — უთხრა დეიდას.

— შენ როგორ უნდა წაიღო, ასე პატარა ბიჭიკომ: ხომ გაგჭულიტა ამოდენა ლიტრამ?—ეხუმრა დეიდა და აუვსო ლიტრა წულით.

— დედაშენს უთხარი — სადილთ უკან ამოვიდეს ცოტა საკერავი მაქვს გასათავებელი და მიშველოს,—გასძახა მიმავალ მიხას დედამ.

მიხას დედას დიდხანს მოუხდა ლოდინი. ქალები სკოლიდან მოვიდნენ, წიგნები დაალაგეს, ტანთ გაიხადეს. გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიცვალეს. უფროსმა დამ ერთი გაკვეთილი კიდეც გაიკვეთა,—მიხა მაინც არ სჩანდა.

დეიდას სახლიდან რო გამოვიდა, ნელის ღიღინით გაუდგა სახლისაკენ. ენკენისთვე იყო, მაგრამ საკმაოდ ცხელოდა, გზაზე სკოლიდან მომავალი მოწაფეები ჰხვდებოდნენ მიხას, ისიც ხან ერთს ათვალიერებდა, ხან მეორეს და ნელა მიაკაკუნებდა.

— შენ გაზრდას, პატარავ, ე მაგ სველ ლიტრიდან დამალევინე წყალი,—შეეხვეწა გაზეთის დამტარებელი, რომელსაც შემოჰგვიანებოდა, გაზეთის დატარებაში და სიარულში მოსწყურვებოდა. მიხო შედგა, შეათვალიერა; იფიქრა ლიტრა პატარაა, წყალიც ცოტა იქნება შიგ, მაგრამ რომ არ დავალევინო, ვაი თუ ამ ჯმუხა ბიჭმა ისე ჩამარტყას, რომ მთლად დამამსხვრიოს თავზე ჩემი ლიტრაო,—და გაუწოდა, გაზეთის დამტარებელი დაეწაფა და კარგად დაანაკლულა.

— შენ-კი გაიზარდე!—უთხრა პატარას და გაუდგა თავის გზას.

ცოტა რომ წაიარა მიხაკომ, სოფლელი გლეხი შემოეყარა. საცოდავს მთლად ვერ გაეყიდნა თავის საქონელი, და დაჯავრიანებული, მკლავზე ლეღვით სავსე კალათა-გადაკიდებული უკან ბრუნდებოდა.

მწყურვალე გლეხს სველი ლიტრის დანახვამ პირზე წყალი მოჰგვარა.

— გაგზრდის ღმერთი, ერთი დამალევინე. წყურვილით ვკვდები.

მიხომ ესეც შეათვალიერა, შეეცოდა და ლიტრა გაუწოდა.

ლიტრა განახევრდა.

მოსახვევთან რო მივიდა, გასიებული ღიპიანი მიკიტანი გადაეღობა წინ და მრისხანე თვალები შეანათა.

— მოიტა, ერთი გავსინჯო, თუ ცივია.

პატარა ბიჭის პასუხს არც-კი დაუცადა და მალად წაგლიჯა ხელიდან ლიტრა. მიხაკოს შიშით გული კინაღამ გაუსკდა და მოთმინებით ელოდა, გაუმაძღარი მიკიტანი როდის მოიცილებდა პირიდან ლიტრას. ახლა-კი მაგრად ჩაავლო ხელი და გაიფიქრა: „ვინც უნდა შემხვდეს, არ შევიბრალებ, არც შეუშინდები და ცოტას მაინც მივიტან შინაო. დები ამდენს ხანს მოვიდოდნენ სკოლიდან, მთელი ოჯახი სადილად მელის: ხუმრობა-კი არ არის.

— პატარა ბიჭო, პატარა ბიჭო, მაგ ფეხსაცმელს, გაგიკრიალებ, წყალს თუ დამალევინებ,—შესძახა მაღალ ღობესთან მიმჯდარმა, საკმაოდ პირ-მოთხუპნილმა ფეხსაცმელების მწმენდელმა.

მიხა კიდევ გააბრიყვა ამ დაპირებამ: ლიტრა მისცა მწმენდელს და თავისი პატარა ფეხი ფეხების შესადგმელ სკამზე დადგა.

დედა ქუჩაში გამოვიდა შვილის მისაგებებლათ,—სად იყავი, შვილო, ამდენ ხანსო!—მიაძახა, ლიტრა ჩამოართვა და მიხაკოს გაწმენდილი ფეხსაცმელები ვერ შეამჩნია.

— ეს რაა, ცარიელი მოიტანე, არ ჰქონდათ წყალი?

— როგორ არა, წამოვიღე, მაგრამ...

— მაგრამ რა?—ჰკითხა დედამ.

მიხაკომ ცალი ფეხი წინ გამოადგა, უჩვენა გაწმენდილი ფეხსაცმელი და მთელ ამბავს მოუყვა.

მთელი კვირა იცინოდნენ. ყველას უამბო დედამ, როგორ გაიწმინდა მიხაკომ ფეხსაცმელები.

**მარიამ გარიყული.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ეშმაკი ყვანჩალები

(შემდეგი)

ყვავების გუნდი ყოველთვის, დიდი და პატარა, მტკიცედ იცავს წესრიგს, ყველანი ემორჩილებიან უფროსებს, ან არჩეულ ხელმძღვანელებს. მაგრამ ჩვენი ეშმაკები, მგონია, პირველ ხანებში არ ემორჩილებოდნენ საყოველთაო წეს-რიგს, იქცეოდნენ ისე, როგორც თვითონ მოსწონდათ და თავიანთ თავს გარდა ყველას აწუხებდნენ. რადგანაც ჯერ კიდევ ახალგაზდები იყვნენ, ყველა ლმობიერად უყურებდა იმათ სიცელქეს, თორემ, რასაკვირველია, უწყალოდ ჩაჰკორტნიდნენ. ერთობ დიდრონები იყვნენ, რომ სხვა მოზარდ ყვანჩალებისათვის ამხანაგობა გაეწიათ: ჩაუსხდებოდნენ პატარებს ბუდეში, აწვალებდნენ და აბეზრებდნენ თავს და საქმე ყოველთვის იმით თავდებოდა, რომ ერეოდნენ უფროსები, ესარჩლებოდნენ პაწიებს და აგდებდნენ ბუდიდან ყვანჩალებს. ყვანჩალებს კი ძალიან მოსწონდათ თავიანთი სიცელქე. ამნაირად ცხოვრობდნენ თავისუფლად ყვანჩალები. გუნდი არ აქცევდა მათ არავითარ ყურადღებას: ისინი სრულ თავის

ნებაზე იყვნენ მიშვებულნი. არ იფიქრო კი, რომ ეს ორი გოჭი ამავე დროს არაფერს სწავლობდა,—ამ მხრით ისინი დიდ ნიჭს იჩენდნენ. დიდის ყურადღებით უკვირდებოდნენ, ირგვლივ რაზე ლაპარაკობდნენ და როგორ იქცეოდნენ სხვები. ადრე გაიგეს და ისწავლეს თოფიანი და უთოფო კაცის გარჩევა, იცოდნენ აგრეთვე, რომ ბუ დღისით სულ სხვაა და ღამე სხვა; შეიტყვეს აგრეთვე, რომ საფრთხობელა არც ისე საშიშარი ვაჟბატონია, როგორც პირველად გეჩვენება და სხვა მრავალი ამგვარი ყვავებისათვის საჭირო ცოდნა სულ მცირე ხანში შეიძინეს; მხოლოდ ერთი რამ ვერ შეითვისეს ჯერჯერობით: სულ უბრალო სიფრთხილე. უთუოდ სიფრთხილე მოსაწყენი და მოსაბეზრებელი იყო იმათთვის. ყოველთვის რაღაც ბედის წყალობით იხსნიდნენ ხოლმე თავს ხიფათისაკან და, რასაკვირველია, ამას თავის ჭკუას აწერდნენ.

მართლა იმათი ბედი იყო, რომ ერთხელ ტყეში სეირნობის დროს ბუს არ ჩაუვარდნენ კლანჭებში. ბუს ეძინა ერთ ხმელ, მასავით ნაცრის ფერ ხის ტოტზე. ყვანჩალებმა ბუ ვერ შეამჩნიეს, ახლოს მივიდნენ მასთან და უსათუოდ ჩაუვარდებოდნენ ბრჭყალებში, რომ შემთხვევით აქ წითურა ციყვი არ ყოფილიყო და ერთი ყვირილი და აურზაური არ აეტეხა. უცებ ნაცარა ტოტიდან გამოანათა ორმა ვეება, რგვალმა ყვითელმა თვალმა. ამან ისე შეაშინა ყვანჩალები, რომ მორთეს ღრიალი და კინაღამ არ ჩამოცვივდნენ მიწაზე. ტყეში ატყდა ყვირილი და ტირილი; ყვანჩალებთან ერთად ყვიროდა ციყვიც. უთუოდ ყვიროდნენ „ბუ, ბუ“-ო, იმიტომ რომ, ერთი წუთიც არ გასულა, მოცვივდნენ ყვავები, დაესივნენ ბუს,

დასტრიალებდნენ თავს, სცდილობდნენ ჩაენისკარტებინათ, ურტყამდნენ ფრთებს, მაგრამ ამავე დროს სიფრთხილით მოქმედებდნენ, მალიან ახლოს არ მიდიოდნენ, რომ ბუს კლანჭებში არ მოხვედროდნენ.

ღამის ვეება ავაზაკს კარგად ესმოდა, რომ დღე მისი საქმე ცუდად არის და რომ შეუძლებელია ამ თავხედი ყვავების დაჭერა; რომც დაეჭირა როგორმე ერთ-ერთი, დანარჩენები მთელ გუნდად დაესეოდნენ და ერთბაშად მოჰკლავდნენ ფრთე-



ბის ცემით. ბუ იჯდა პირდაპირ, გამოეწია ნისკარტი და გულმოსული უსისინებდა. ბოლოს, როცა დარწმუნდა, რომ

ყვავები არ ეშვებიან, რომ შეუძლებელია განაგრძოს მოსვენებული ძილი ტოტზე, მან გაშალა თავისი ვეება, ფართე ფრთები და უხმოდ გადმოფრინდა სხვა მშვიდობიანი ადგილის მოსაძებნად. ყვავების მთელი გუნდი გამოუდგა მას გაცხარებული ყრანტალით და ერთ ვერსზე მისდევდა. ბოლოს, მეთაური ყვავის ბრძანებით, თავი გაანებეს დევნას, დაეშვნენ მინდორზე და, რადგანაც არავითარი მტერი არ აწუხებდათ, თამაშობასა და მუსაიფში გაერთვნენ.

ბიჭუნას უნდოდა ეკითხა, რისთვის შეატყობინა ციყვმა ყვანჩალებს: ყვავების სიყვარული ამოქმედებდა, თუ ბუს სიძულვილიო, მაგრამ, მანამ კითხვას მოიფიქრებდა, ბიძიამ განაგრძო:

— ყვანჩალების ბედი იყო კიდევ ის, რომ ფერმის მცხოვრებლები, რომლის სიახლოვესაც ისინი სცხოვრობდნენ, თოფს არ ხმარობდნენ და ყვანჩალები უთუოდ დარწმუნებული იყვნენ, რომ ყველაფერი, რაც ფერმაში მოიპოვება,—მათია და შეუძლიათ თავისუფლად ისარგებლონ. იქ ნადირობდნენ, იჭერდნენ ყოველნაირ ჭიებს, ბუზანკალებს და თაგვებს, რომელნიც ღრღნიდნენ გომურებში და ბეღლებში იატაკებს და ანადგურებდნენ პურს. ყველა ეს გარემოება, რასაკვირველია, ჩვენი ეშმაკი ყვანჩალების სასიკეთოდ მოეწყო, რადგანაც სულ ერთავად ფერმასთან დასეტიალობდნენ და მოსვენებით ცხოვრობდნენ იქვე ახლოს, დიდრონ ხეებზე. თვითონ ფერმის პატრონი და მისი მოჯამაგირეები ყურადღებას არ აქცევდნენ ყვავებს, მაგრამ ფერმის პატრონის შვილი, სწორედ ის ბიჭი, რომელმაც ერთი კვერცხი მოიპარა ყვავის ბუდეში, გაფაციცებით ადევნებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალყურს ეშმაკ ყვანჩალებს. პირველად ყვანჩალებს, ცოტა არ იყოს, ეშინოდათ ბიჭის, შეიძლება, გრძნობდნენ, როგორ უთვალთვალებდა ბიჭი თავისი გამჭრიახი ცისფერი თვალებით; მაგრამ ბოლოს გადასწყვიტეს, რომ ბიჭი სხვებზე უფრო საშიში არ არისო.

ფერმასთან საჭმელი ყოველთვის უხვად იყო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მამაკაცები მიდიოდნენ ყანაში სამუშაოდ; დედაკაცები ოჯახობაში იყვნენ გართულნი, და ბიჭიც აღარ ჩანდა. ამ დროს ნაშოვარი საჭმელი ბევრად უფრო სასიამოვნოდ ეჩვენებოდათ, იმიტომ რომ ჰპარავდნენ ჩერჩეტ ქათმებს, სასაცილო, უშნო იხვებს და მტრედებს. და ძალიან უხაროდათ, თუ ამ დროს რამე ეშმაკობას მოახერხებდნენ. იმათი აზრით ერთობ სასიხარულო იყო, როცა გამოსტაცებდნენ მტრედს ნისკარტიდან გემრიელ ლუკმას, ან ისე ჩაჭკრავდნენ ნისკარტს წიწილას, რომ იქვე წააქცევდნენ, და როდესაც კრუხი—დედა მივარდებოდა ყვანჩალებს, მოასწრებდნენ, ხელიდან გაუსხლტებოდნენ და კრუხსვე სულელურ მდგომარეობაში ჩააყენებდნენ. უხაროდათ, როცა გადაყრილ თუნუქის კოლოფებს მოიტაცებდნენ და სადმე შორს ბუჩქებში ან ხეზე შეინახავდნენ.

შეიძლება ყვანჩალები კიდევაც ფიქრობდნენ—ადამიანები დიდი სულელები არიან, რომ არ უფრთხილდებიან და არ ინახავენ ამისთანა მვირფას, ბჭყვრიალა ნივთებს, როგორც გადაყრილი თუნუქის კოლოფებია, თვითონ ყვანჩალები კი ისეთი ყოჩაღები არიან, რომ ახერხებენ და თითქმის ცხვირ წინ სტაცებენ იმათ ამისთანა საოცარ რამეებს. ბოლოს-და-ბოლოს

ყვანჩალებმა ბევრი ამისთანა ძვირფასი ნივთი მიიტანეს თავიანთ ძველ ბუდეში. მაგრამ ყველაზე უფრო, მგონია, ბებერი კატის წვალება უყვარდათ, როდესაც ის მზეზე გაწოლილი ზარმაცად იზმორებოდა და დამშვიდებით ისვენებდა.

— როგორ, კატას აწვალებდნენ?!—შეჰყვირა ბიჭუნამ:—განა კატის არ ეშინოდათ?

— ნუ ჩქარობ, ყური დამიგდე,—განაგრძო ბიძიამ:—ყვანჩალებმა სულ უბრალო და ნამდვილი ხერხი იცოდნენ კატის საწვალებლად.

ყვანჩალები მოთმინებით ელოდნენ, როცა კატა ავიდოდა და გაწვებოდა ღობეზე მზეში გასათბობად. ღობე კატის საყვარელი დასასვენებელი ადგილი იყო. ჩვენ, რასაკვირველია ეს გაგვიკვირდება, რადგანაც ღობე ვიწრო არის, მაგრამ კატას სხვა გემოვნება აქვს. ჰო და, როდესაც კატა გაწვებოდა, ეშმაკი მამია დაჯდებოდა ღობეზე კატის წინ ათი ნაბიჯის სიშორეზე და თავს ძალიან მოიავადმყოფებდა, კვნესით მიათრევდა ფრთას, ისე ვითომ ეს-ეს არის ღობიდან გადმოვარდებაო. როგორც კი კატა შეამჩნევდა ამას, მაშინადვე გააჭყეტდა თვალებს და იწყებდა ნელ-ნელა მიპარვას. მაშინ ეშმაკი დაია შეფრინდებოდა ღობეზე კატის ზურგს უკან, დააფრინდებოდა კუდზე და მოსწევდა. გაცხარებული კატა დაიქმიტინებდა და უკან მოტრიალდებოდა. მაგრამ მოტრიალდებოდა და კუდს გაანთავისუფლებდა თუ არა, მაშინვე მეორე მხრიდან ეშმაკი მამია ეცემოდა კუდში და გასწევდა თავისკენ. ეს ეშმაკობა რამდენჯერმე განმეორდებოდა, სანამ ბოლოს კუდ-ამოძუებული კატა არ გაიქცეოდა სამზარეულოში, და ეშმაკები კი ამ დროს თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისი ოინით კმაყოფილნი აფრინდებოდნენ, დასხდებოდნენ ხის კენწეროზე და დასძახოდნენ თავიანთ „ყვა-ყვა“-ს.

ფერმის ბაღში, ხენდროს კვლებში იდგა საფრთხობელა; მაგრამ ეს საფრთხობელა სრულიადაც არ აფრთხობდა ორ ეშმაკს; საუცხოვოდ-კი იყო გაკეთებული და შიშის ზარს სცემდა წვრილფეხა ჩიტებს. მისი თავი და ქუდი ჩალით იყო გატენილი, და ეშმაკ ყვანჩალებს დიდი სიამოვნებით გამოჰქონდათ ნისკარტით ნახვრეტიდან ჩალა და იქავე კვლებზე ჰფანტავდნენ. შემდეგ იმათ გემრიელი ხენდროც შეუყვარდათ და სადილად მირთმეულ ჭია-მატლების და თაგვების შემდეგ პირს ხენდროთი ჩაიკოკლოზინებდნენ ხოლმე.

ბიჭს მალიან უყვარდა ხენდროს კვლები და დიდი სიყვარულით უვლიდა. როდესაც შეამჩნია, რომ ყვავები მეტ ყურადღებას აქცევენ ხენდროს, ვიდრე ჭია-მატლებსა და თაგვებს,—შეწუხდა. ბიჭი ხედავდა თავის ფანჯრიდან, როგორ თავხედად ექცეოდნენ ეშმაკები საფრთხობელას და მიხვდა, რომ საფრთხობელა ვერაფერ დახმარებას გაუწევდა ყვავებთან ბრძოლაში; რამე უნდა მოეფიქრებინა, ჩქარა უნდა მოეფიქრებინა, თორემ ხენდროს სრული განადგურება მოელოდა. ბიჭმა გადასწყვიტა დაესაჯა ეშმაკები, რომ პატივისცემით მოჰყრობოდნენ ხენდროს და საფრთხობელას შიშიც ჰქონოდათ.

ბიჭმა შეამჩნია, რომ საფრთხობელას ქუდზე მაღლა ყვანჩალების საყვარელი დასასვენებელი ადგილი იყო, და სწორედ იმ ადგილას გააკეთა მან კანაფისაგან მარყუჟი. მარყუჟიდან კანაფი ჩამოუშვა მირს საფრთხობელას ერთად-ერთ ფეხზე, ხომ იცი, რომ საფრთხობელას ყოველთვის ერთი

ფეხი აქვს,—შემდეგ კანაფი გაატარა ხენდროს კვალზე და ბოლო თავისი ოთახის ფანჯარაში შეიტანა. ბიჭი ძალიან კმაყოფილი იყო თავის გამოგონებით, აიღო წიგნი, დაჯდა ფანჯარასთან და ელოდა, რა იქნებაო.

მოხდა ისე, რომ სწორედ ამ დროს ეშმაკი ყვანჩალები გაემართნენ მინდვრისაკენ თაგვებზე სანადიროდ. მთელი საათი არ სჩანდნენ, ბიჭი-კი რაღაც საქმეზე გაგზავნეს სოფელში. ბიჭმა კანაფის ბოლო თავის ლოგინს მიაბა, დააბარა თავისიანებს, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, თუ იმის შინ არ ყოფნის დროს ყვანჩალები მოფრინდებოდნენ, და წავიდა.

ჯერ თავის სოროდან მოცუნცულდა თვალ-ბედითი, ბასროკბილებიანი, გძელ-ცხვირა, ნაცარა ბებერი ვირთაგვა და დაიწყო კვლების თვალიერება. ვირთაგვა სრულებით არ აქცევდა ყურადღებას ხენდროს: ის აქ მხოლოდ ბუზანკალებს ეძებდა, მაგრამ უცებ წააწყდა გაბმულ კანაფს. ის-ის იყო უნდა გადაეღრღნა კანაფი და ნაგლეჯი წაეღო თავის სოროში, მაგრამ სწრაფად მოისაზრა—იქნება მახე იყოსო და მაშინვე ზიზღით გამოტრიალდა უკან, იპოვნა ბუზანკალი და შეუდგა ჭამას. ამ დროს გაჩნდნენ ყვანჩალები. ძმა „ყვააა“-ს ყვირილით შემოჯდა ხის წვერზე და დაიწყო ირგვლივ თვალიერება—რა ამბავიაო. დაია დააჯდა საფრთხობელას თავზე, დახარა თავი, დაბლა დახედა და მაშინვე შეამჩნია ვირთაგვა. „ყვაა“ დაიჩხავლა მან დაცინვით; მაგრამ ვირთაგვამ ყურადღებაც არ მიაქცია. მაშინ ყვავი დაეშვა ცოტათი ძირს და ფრთები დააფართხუნა. ვირთაგვამ ახლაც არ მიაქცია ყურა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღება, თუმცა ყვანჩალას მალიან კარგად ხედავდა და კიდევაც იამებოდა, იმით რომ პირი ჩაეგემრიელებინა.

ამ დროს ყვანჩალამ შეამჩნია საფრთხობელას ქუდიდან მირს ჩამოშვებული კანაფი და მაშინვე მოინდომა შეეტყო, რაშია აქ საქმე, ჩაავლო ნისკარტი, და რაც მალი და ღონე ჰქონდა, გამოსწია.

ნ. ა.

(დასასრული იქნება)



# რებუსი

(წარმოდგენილი ციცუნიას მიერ)




1-ლ №-ში მოთავსებულ რებუსის ახსნა:

ფიცი მწამს ბოლო კი მაკვირვებსო.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი **ტ. ვ. ი. თუმანიშვილი.**

4/77

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

# „ნაკადულ“-ზე

**წელიწადი მეთორმეტე**

ჟურნალი **„ნაკადული“** გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ჟურნალი გამოდის თვეში ორჯელ**

**24** **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12** **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5** მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი **6** მან. ნახევარ წლით—**3** მან. გაგზავნით 3 მან. 50 კაპ. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი—3** მან. გაგზავნით 3 50 კაპ. მოზრდილთათვის **12 წიგნი—3** მან. გაგზავნით 3 მან. 50 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ. ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

**ხელის მოწერა მიიღება**

**ტფილისში**— „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **ფოთში**—ლუდმილე მეგრელიშვილთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, დ სამსონ ყაზაიშვილთან უპრავაში. **ოზურგეთში** დ **ლანჩხუთში**—ლელო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან. **მიხაილოვოში**—გიორგი ნაკაშიძესთან. **ყვირილაში**—ნინო ფერაძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **თ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**